პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# ლელო

№61 (4055) 28 1970 წ. მარტი, შაბათი, ფასი 3 კაპ.

საქ. სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Комитета по физической культуре и спорту при Совете Министров ГССР и республиканского Совета профсоюзов

გაზეთი გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან



„ფიდესის" უძლიერესი თა-ვდამსხმელი, ამერიკიდან ჩა-მოყვანილი პროფესიონალი კა-ლათბურთელი, ზანგი უილიამ-სი მთელი თავით მაღლა იდგა თავის მეტოქეებზე. სურათზე თქვენ ხედავთ ამერიკელის უპირატესობის ფიგურალურ გამოხატვას.

(თბილისის „დინამოსა" და ნეაპოლის „ფიდესის" მა-ტჩის ანგარიში იხ. მე-4 გვ.).

ფეხბურთი. უმაღლესი ლიგა

## სსრ კავშირის პირველობა

## ჩემპიონთან — 2:0

თბილისი, „ლოკომოტივის" სტადიონი. 27 მარტი.

„დინამო" (თბილისი) — „სპარტაკი" (მოსკოვი) 2:0 (0:0).

„დინამო": ურუშაძე, ძოძუაშვილი, კანთელაძე, ხურცილავა (რეხვიაშვილი), ხინჩიკაშვილი, კუტივაძე, პეტრიაშვილი, ასათიანი, მეტრეველი, გ. ნოდია, ლ. ნოდია.

„სპარტაკი": კავაზაშვილი, ლოგოფეტი, ივანოვი, ლოვჩევი, კისელიოვი, აბრამოვი, კალინოვი, ჰუსაინოვი, ოსიანინი, პაპაევი, ეფსეევი (სილაგაძე).

მსაჯი კ. ანძიულისი (ვილნიუსი).

ბურთები გაიტანეს: გ. ნოდიამ (46-ე წ.) და პეტრიაშვილმა (79-ე წ.).

დუბლიორები — 0:0.

## გადამწყვეტი ბრძოლების წინ

სტოკჰოლმი, 26 მარტი. ჰოკეისტთა 37-ე მსოფლიო ჩემპიონატი დასასრულს უახლოვდება. ჯერჯერობით მხოლოდ ერთი რამაა ცხადი. საპრიზო ადგილებისთვის ძირითადად იბრძვიან სსრ კავშირის, შვეციისა და ჩეხოსლოვაკიის გუნდები. საბჭოთა ჰოკეისტებს უარეს შემთხვევაში III ადგილი აქვთ განაღდებული, მხოლოდ გდრ-ისა და პოლონეთის ჰოკეისტები ერთმანეთში გაარკვევენ ბოლო ადგილის საკითხს.

გუშინ საბჭოთა ნაკრები პოლონელებს შეხვდა. მსოფლიოს ჩემპიონებმა იოლი გამარჯვება იზეიმეს — 11:0. პირველ პერიოდში შადრინმა, მიხაილოვმა და მალცევმა 3 შაიბა გაიტანეს მეტოქეთა კარში. მეორე პერიოდში ხარლამოვმა, ვიკულოვმა, მიშაკოვმა, პოლუპანოვმა, მიხაილოვმა და მალცევმა ანგარიში 9:0 გახადეს, ხოლო მესამე პერიოდში პოლუპანოვმა და მალცევმა ანგარიში კიდევ უფრო გაზარდეს.

გუშინვე გაიმართა ჩეხოსლოვაკიისა და გდრ-ის გუნდების მატჩი. ისევე როგორც პირველ წრეში, გამარჯვება ჩეხოსლოვაკიელებს დარჩათ, ამჯერად ანგარიშით 7:3.

როგორც ცნობილია, პირველ წრეში შვედები მხოლოდ ფინელებთან დამარცხდნენ. ეს იყო ჩემპიონატის პირველი სენსაცია. და აი, მეორე წრეში ფინელები კინაღამ მეორე სენსაციის ავტორები გახდნენ. პირველი პერიოდი შვედებმა მინიმალური ანგარიშით (1:0) მოიგეს. მეორე პერიოდში ფინელებმა მედგრად შეუტიეს მასპინძელთა კარს და 2 უპასუხო შაიბა გაიტანეს, მაგრამ მესამე პერიოდში შვედებმა გასტეხეს ფინელთა წინააღმდეგობა და საბოლოოდ ძნელი გამარჯვება იზეიმეს — 4:3.

როგორც ჩანს, ჩემპიონობის ბედს გადაწყვეტს ფავორიტების — სსრ კავშირის ჰოკეისტების შეხვედრები ჩეხოსლოვაკიელებთან (27 მარტი) და შეჯიბრების ბოლო დღეს — შვედებთან (30 მარტი).

* * *

სურათზე: „იუჰანესჰოფის" ყინულის სარბიელი შეჯიბრების დროს.

### გათამაშების ცხრილი

მდგომარეობა 27 მარტისთვის

| | თ. | მ. | ფ. | წ. | შ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| სსრ კავშირი | 8 | 7 | 0 | 1 | 60—9 | 14 |
| შვეცია | 8 | 6 | 1 | 1 | 39—17 | 13 |
| ჩეხოსლოვაკია | 8 | 5 | 1 | 2 | 43—20 | 11 |
| ფინეთი | 8 | 4 | 0 | 4 | 23—33 | 8 |
| გდრ | 8 | 0 | 1 | 7 | 11—45 | 1 |
| პოლონეთი | 8 | 0 | 1 | 7 | 8—60 | 1 |

1970 ფეხბურთი

## გუშინ...

ქუთაისის „ტორპედო" კიევის „დინამოს" მასპინძლობდა. გაიმარჯვეს კიეველებმა — 2:1. ბურთები გაიტანეს: ხმელნიცკიმ (მე-15 წ.), ხერხაძემ (81-ე წ. 11-მეტრიანით) და ტროშკინმა (78-ე წ.).

ტაშკენტის „ფახთაქორი" შინ დიდი ანგარიშით (0:5) დამარცხდა ცსკა-სთან.

სოჭში ერთმანეთს შეხვდნენ მოსკოვის „დინამო" და „შახტიორი". გაიმარჯვეს დინამოელებმა — 2:0.

◆ ლენინგრადი, 27 მარტი. 15 წლის მოსკოველმა მოსწავლემ ო. კუდაშოვამ 400 მეტრზე თავისუფალი სტილით ცურვაში სსრ კავშირის ახალი რეკორდი დაამყარა 25-მეტრიანი აუზებისთვის—4.46,4. მან ეს შედეგი აჩვენა გაზეთ „კომსომოლსკაია პრავდას" პრიზზე აქ მიმდინარე საერთაშორისო შეჯიბრებაში.

◆ ბელგრადი, 27 მარტი. მოჭადრაკე ქალთა საერთაშორისო შეჯიბრების ბოლო ტურის წინ დაწინაურდა მოსკოველი ა. კუშნირი, რომელმაც გადადებული პარტიების დამთავრებისას დაამარცხა ტიმერი (ჰოლანდია), კონარკოვსკა-სოკოლოვა, ვუიანოვიჩი და კ. იოვანოვიჩი (ყველა — იუგოსლავია) და დაუზავდა მალიპეტროვას (ჩეხოსლოვაკია). ახლა კუშნირს 12 ქულა აქვს და ნახევარი ქულით უსწრებს ნ. გაფრინდაშვილს, რომელიც ტროიანსკას (ბულგარეთი) გადადებულ პარტიაში ყაიმზე შეუთანხმდა. III ადგილზეა კ. იოვანოვიჩი — 10 ქულა.

◆ სარაევო, 27 მარტი. სერბიის ამ ქალაქში მიმდინარე მოჭადრაკე ვაჟთა საერთაშორისო ტურნირის VI ტურში დიდოსტატმა ანტოშინმა (მოსკოვის ოლქი) დაამარცხა უნგრელი ოსტატი კოვაჩი, ხოლო დიდოსტატმა ლიბერზონმა (მოსკოვი) საერთაშორისო ოსტატ ბოგდანოვიჩთან (იუგოსლავია) შეხვედრა ყაიმით დაამთავრა. ტურნირს ლიდერობს ბელგრადელი ოსტატობის კანდიდატი ლიუბოევიჩი — 4 ქულა და 1 გადადებული პარტია. ანტოშინი V ადგილზეა — 3,5 (1), ლიბერზონი კი 2,5 ქულით VI-VIII ადგილებს იყოფს.

20 45



## გმირის მემორიალზე

ამას წინათ ჩერნოვცში ჩატარდა სსრ კავშირის გმირის ჰ. ნიკიტინის სახელობის მემორიალი — ჭაბუკთა პირად-გუნდური ასპარეზობა თავისუფალ ჭიდაობაში, რომელშიც მონაწილეობდნენ მოსკოვის, ლენინგრადის, კიევის, ოდესის, სოხუმისა და სხვა ქალაქების წარმომადგენლები.

გაიმარჯვეს ლატვიელმა მოჭიდავეებმა. სოხუმის გუნდი, რომელიც მთლიანად „დინამოს" მოჭიდავეებით იყო დაკომპლექტებული, IV ადგილზე გავიდა.

კარგად ჩაატარა ტურნირი ქვესაშუალო წონის სოხუმელმა ათლეტმა მ. ლაბარტყავამ. მან ზედიზედ შვიდი მეტოქე დაამარცხა და თუმცა ერთ-ერთი ბრძოლის დროს დაშავდა, ჩემპიონის ტიტულს დაეპატრონა. ლაბარტყავას ვაჟკაცურმა საქციელმა საერთო მოწონება დაიმსახურა. იგი სპეციალური პრიზითაც კი დააჯილდოვეს, როგორც ყველაზე მტკიცე ნებისყოფის სპორტსმენი.

ჩვენი რესპუბლიკის წარმომადგენელთაგან საპრიზო ადგილები დაიკავეს, აგრეთვე, ვ. დევეჯიევმა, ვ. მზარელუამ, ი. კალაიჯანმა, ვ. ავიძემ, ა. მინასიანმა, ი. რიდჩენკომ და ს. ჩაკრიანმა.

გ. იაშვილი.
(ჩვენი კორ.).

სოხუმი.

# სასახლესაც ეწვია



ფიზკულტურის რესპუბლიკურ კომიტეტში გადაწყდა: თბილისის სპორტის სასახლეში რომის ოლიმპიადის ჩემპიონის, სპორტის დამსახურებული ოსტატის რობერტ შავლაყაძის პრიზზე შეჯიბრება გაემართათ. ეს გადაწყვეტილება მაშინვე შეატყობინეს ფიზკულტურის საკავშირო კომიტეტს, მოსკოვისა და ლენინგრადის, მოკავშირე რესპუბლიკების მძლეოსნობის ფედერაციებსა და ფიზკულტურის კომიტეტებს, სთხოვეს ტურნირში მონაწილეობის მისაღებად თავიანთი საუკეთესო სიმაღლეზე მხტომელები გამოეგზავნათ. ამ წინადადებას ყველა მოწონებით შეხვდა. ამიტომ იყო, რომ 24 მარტისთვის თბილისში ჩვენი ქვეყნის ყველა უძლიერეს სიმაღლეზე მხტომელს ელოდნენ.

საქართველოში დახურულ დარბაზში მძლეოსნური შეჯიბრება პირველად ტარდება. ფიზკულტურის რესპუბლიკურმა კომიტეტმა და სპორტის სასახლის დირექციამ თავი არ დაზოგეს, რათა ასპარეზობა მაღალ დონეზე ჩამართულიყო, მაგრამ, როგორც ბოლო მომენტში გახდა ცნობილი, საბჭოთა კავშირის უძლიერესი სიმაღლეზე მხტომელი ქალები და ვაჟები, ნაკრები გუნდის წევრები სხვა საზრუნავით იყვნენ დაკავებული. თბილისში ვერ ჩამოვიდნენ მსოფლიოს რეკორდსმენი, ტოკიოს ოლიმპიადის ჩემპიონი ვ. ბრუმელი, ევროპის ჩემპიონი ვ. გავრილოვი, და სხვა სახელოვანი ათლეტები. ქალთა შეჯიბრება საერთოდ არ გამართულა, ვაჟთა ასპარეზობაში კი ჩაება სულ 13 სპორტსმენი, რომელთაგან 6 ჩვენი რესპუბლიკის წარმომადგენელი გახლდათ.

იმ დღეს სპორტის სასახლის სარბიელი და ტრიბუნები „სპორტის დედოფლის“ ჭეშმარიტ გულშემატკივართა განკარგულებაში იყო. მაყურებლებიცა და სპორტსმენებიც შინ მაინც კმაყოფილი ბრუნდებოდნენ, რადგან კარგ ტრადიციას ჩაეყარა საძირკველი, — გაისიდან ეს ტურნირი საკავშირო კალენდარში შევა.

პირველი პრიზის დაუფლებისთვის იბრძოდნენ საქართველოს ჩემპიონი, პროფკავშირთა საკავშირო სპარტაკიადის ვერცხლის პრიზიორი ნ. საგანელიძე, რომლის საუკეთესო შედეგი 210 სანტიმეტრია, პროფკავშირთა სპარტაკიადის ჩემპიონი, ბრიანსკელი ვ. კოზლოვი (212 სმ), მეგობრული არმიების ჩემპიონი, ერევნელი რ. ამბარიანი (214 სმ), ლიტვის რეკორდსმენი, ვილნიუსელი კ. შაპკა (210 სმ), რომელიც ფოსბიურის ყაიდით ხტება, ბელორუსიის ჩემპიონი და რეკორდსმენი, მინსკელი ა. კასკოვი (213 სმ), მოსკოველები ვ. აბრამოვი (211) და ვ. ბოროზდინი (200), აშხაბადელი ი. კლიუშოვი (205), თბილისელები — ვ. პოპოვი (205), პ. კრასნოვი, ვ. ბეზნედელნი (ორივე — 195), ვ. უზმორსკი (196) და გ. მებონია (190). მათგან ყველაზე უფროსი იყო 29 წლის ამბარიანი, ყველაზე უმცროსი — 18 წლის უზმორსკი.

მონაწილეთ მიესალმნენ საქართველოს მძლეოსანთა მთავარი მწვრთნელები რ. ტრაპაიძე და რ. შავლაყაძე. ამბარიანმა შავლაყაძეს სომხეთის სპორტსმენთა სახელით სამახსოვრო საჩუქარი გადასცა.

შეჯიბრების მთავარმა მსაჯმა — ვ. ი. ლენინის სახელობის საკავშირო სასოფლო-სამეურნეო მეცნიერებათა აკადემიისა და საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტმა, ტექნიკურ მეცნიერებათა დოქტორმა, პროფესორმა, სიმაღლეზე ხტომაში სსრ კავშირის ექს-რეკორდსმენმა გ. შხვაცაბაიამ ბრძოლის დაწყების ნიშანი მისცა.

ვიდრე სპორტსმენები იერიშისთვის ემზადებოდნენ, მთავარ მსაჯს ვთხოვეთ აზრი გამოეთქვა ამ თაოსნობაზე.

— მეტად კმაყოფილი გახლავართ. უდავოდ კარგი საქმეა. შავლაყაძის პრიზზე ასპარეზობა ხელს შეუწყობს ამ სახეობის განვითარებას არა მარტო საქართველოში, არამედ მთელს საბჭოთა კავშირში, ვინაიდან ეს შეჯიბრება მომავალში უფრო მეტ მონაწილეს მიიზიდავს. ეს თაოსნობა სხვამხრივაცაა მისასალმებელი: იგი კიდევ ერთხელ ადასტურებს, რომ ჩვენში გამოჩენილ სპორტსმენებს არ ივიწყებენ.

რ. შავლაყაძე მართლაც დაფასების ღირსია. დავისახელებთ რამდენიმე ფაქტს და მკითხველმა თავად განსაჯოს. შავლაყაძემ მძლეოსნობაში ვარჯიში 1948 წელს დაიწყო ლ. დათაშვილისა და დ. ბეთლემიძის ხელმძღვანელობით, შემდეგ მან ჯერ გ. ათანელოვის, მერე კი სსრ კავშირის დამსახურებული მწვრთნელის ბ. დიაჩკოვის მზრუნველობით ბრწყინვალე წარმატებები მოიპოვა.

დავიწყოთ პირველი საერთაშორისო შეჯიბრებით. 1958 წელს რუმინეთის ღია ჩემპიონატში შავლაყაძემ 2 მ გადალახა და III ადგილი დაიკავა. მომდევნო წელიწადს მოსკოვში, ზნამენსკების პრიზზე შეჯიბრებაში იგი II ადგილზე გავიდა (205 სმ). გაიმარჯვა სსრ კავშირ — აშშ-ს მატჩში, რომელიც ფილადელფიაში ჩატარდა. იქ დაამარცხა ისეთი ცნობილი სპორტსმენები, როგორიც იყვნენ ჯ. უილიამსი, ი. კაშკაროვი, ჩ. დიუმასი. მოსკოვში, სსრ კავშირ — გფრ-ის გუნდების მატჩში მან 208 სმ სიმაღლე გადალახა და პირველობა მოიგო. 1960 წელს მოსკოვშივე, ზნამენსკების მემორიალში რობერტმა ისევ გამარჯვება მოიპოვა (211 სმ). რაც მთავარია, შავლაყაძემ რომის ოლიმპიადის ჩემპიონობა დაისაკუთრა (216 სმ). XVII ოლიმპიადაში მან ჩამოიტოვა მსოფლიო რეკორდსმენი ჯ. თომასი (აშშ) და მომავალი რეკორდსმენი ვ. ბრუმელი. 1961 და 1964 წლებში შავლაყაძემ ერთნაირი შედეგით (210 სმ) მოიგო ზნამენსკების მემორიალი. იმავე წელს სსრ კავშირის ჩემპიონი გახდა (217 სმ) და ტოკიოს ოლიმპიურ თამაშებში, ავადმყოფობის მიუხედავად, V ადგილზე გავიდა...

სწორედ ყოველივე ამის გამო მიგვაჩნია, რომ შავლაყაძის პრიზის გათამაშება ღირსეული საქმეა და მას უფრო ფართო მასშტაბი უნდა მიეცეს, — თქვა დასასრულ გ. შხვაცაბაიამ.

... შეჯიბრება დაიწყო. 185 სანტიმეტრზე გადებულ თამასას მხოლოდ თბილისელებმა (საგანელიძის გარდა) შეუტიეს და პირველივე ცდით გადალახეს. ორი ცდა მხოლოდ პოპოვს დასჭირდა. 190 სმ. კოზლოვმა, შაპკამ და კასკოვმა ეს სიმაღლე გამოტოვეს, საგანელიძემ, აბრამოვმა და უზმორსკიმ პირველივე ცდით დასძლიეს, ამბარიანმა და კლიუშოვმა — მეორე ცდით, ბოროზდინსა და კრასნოვს კი 3-3 ცდა დასჭირდათ. შემდეგ თამასა კიდევ 5 სანტიმეტრით ასწიეს. 195 სანტიმეტრი — 1924 წლის ოლიმპიურ თამაშებში სარეკორდო იყო, აქ კი... კოზლოვმა ეს სიმაღლეც გამოტოვა. მის მაგალითს მიბაძეს აბრამოვმა და ამბარიანმა. შაპკას, საგანელიძეს, კასკოვს თამასის გადალახვა არ გასჭირვებიათ, სამაგიეროდ, ბოროზდინი, პოპოვი და უზმორსკი კინაღამ გამოეთიშნენ შეჯიბრებას — სამივე მესამე ცდაზე „გადარჩა“.

2 მეტრი ბოროზდინის, უზმორსკის, პოპოვისა და კლიუშოვისთვის დაუძლეველი აღმოჩნდა. საგანელიძემ და აბრამოვმა კი ეს სიმაღლე ბოლო ცდით გადალახეს. როცა თამასა 205 სანტიმეტრზე იდო, მოსკოველმა სპორტის ოსტატმა ი. ჩისტიაკოვმა, რომელიც ახლა მწვრთნელად მუშაობს, თქვა: ამ სიმაღლეზე გადახტომას მხოლოდ შაპკა, კასკოვი და კოზლოვი შეძლებენო.

მართლაც, შაპკამ და კასკოვმა თამასა პირველივე ცდით აიღეს, კოზლოვმა — ბოლო ცდით. საგანელიძისგან, როგორც მასპინძლისგან, მეტს ველოდით, მაგრამ იგი სამივე ცდაზე უფერულად, დუნედ გადახტა და... შეჯიბრებას გამოეთიშა. საგანელიძის ბედი გაიზიარეს ამბარიანმა და აბრამოვმაც.

ამრიგად, სარბიელზე სამნი დარჩნენ. ახლა მათ დავაში უნდა გადაწყვეტილიყო საპრიზო ადგილების ბედი. 208 სანტიმეტრზე შაპკა დამარცხდა. მისმა მეტოქეებმა კი სიმაღლე ერთბაშად დაიმორჩილეს.

შემდეგ ზღვარს — 211 სანტიმეტრს — მარტო კასკოვმა (და არა კრასკომ, როგორც წინა ნომერში ვწერდით) გაუძლო. მან მესამე ცდით აიღო ეს სიმაღლე და შავლაყაძის პრიზიც დაისაკუთრა.

შეჯიბრების დამთავრების შემდეგ რ. შავლაყაძეს პატარა ინტერვიუ ვთხოვეთ. განსაკუთრებით ტურნირის მომავალი ბედი გვაინტერესებდა. ოლიმპიურმა ჩემპიონმა გვითხრა:

— გაისად ასპარეზობა უფრო ხალხმრავალი იქნება. მასში სსრ კავშირის ყველა უძლიერესი და მსოფლიოს საუკეთესო სიმაღლეზე მხტომელები გამოვლენ. ფიზკულტურის რესპუბლიკურმა კომიტეტმა ამაზე უკვე იზრუნა, საკავშირო კომიტეტმა მხარი დაუჭირა, ისე რომ, 1971 წელს თბილისის სპორტის სასახლე დიდი ფორუმით მასპინძელი იქნება.

**ო. გელაშვილი.**

* * *

ს უ რ ა თ ზ ე: ფოსბიურის ყაიდა ახეთია. ამ სტილით ხტებოდა შაპკა.

ფოტო მ. ზარგარიანისა.

## რაიონების სტადიონებიდან

### ✦ ზესტაფონი

გაიმართა მოსწავლე კალათბურთელთა შეჯიბრება რაიონულ გაზეთ „ლენინელისა“ და საქართველოს ალკკ ზესტაფონის რაიკომის პრიზზე. ასპარეზობაში ადგილობრივი გუნდების გარდა მონაწილეობდნენ ტყიბულის, წყალტუბოსა და ხაშურის ნაკრები კოლექტივები. ზესტაფონელთა ღირსებას ბავშვთა სპორტსკოლის ჭაბუკთა და სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმის გოგონათა გუნდები იცავდნენ. აღნიშნულმა კოლექტივებმა კარგად იასპარეზეს და I ადგილებიც დაიკავეს. ტურნირის საუკეთესო მოთამაშეები იყვნენ: ჭაბუკებში — წყალტუბოელი თ. ზვიადაძე, გოგონებში — ზესტაფონელი დ. გელაშვილი.

**ა. განუგრაევა.**

ვემზადოთ სსრ კავშირის ხალხთა V სპარტაკიადისთვის

# ოსტატის ნორმატივით

ავჭალის სასროლეთზე მიმდინარეობს საქართველოს საგაზაფხულო პირად-გუნდური შეჯიბრება ტყვიის სროლაში. მონაწილეობენ „დინამოს“, დოსააფისა და თბილისის ასკ-ს გუნდები.

ასპარეზობის დაწყებამდე ვესაუბრეთ რესპუბლიკის სპორტსმენთა მთავარ მწვრთნელს ამ სახეობაში, საბჭოთა კავშირის დამსახურებულ მწვრთნელს ა. ბაქრაძეს.

— შეჯიბრება სსრ კავშირის ხალხთა V სპარტაკიადისთვის მზადების ნიშნით ტარდება, — გვითხრა მწვრთნელმა. — ჩვენი რესპუბლიკის უძლიერესმა სპორტსმენებმა წლეულს რამდენიმე ტურნირში იასპარეზეს. „დინამოს“ მსროლელები, მაგალითად, სოხუმში, ცენტრალური საბჭოს პირველობაში გამოდიოდნენ და კარგი შედეგებიც მოიპოვეს — თავდიდიშვილმა რესპუბლიკის ახალი რეკორდი დაამყარა, ოსტატობის კანდიდატმა ტ. კაზარიანმა პირველად შეასრულა სპორტის ოსტატის ნორმატივი.

დოსააფის მსროლელები ჩატარებლიდან პირდაპირ ცეცხლის ხაზზე აღმოჩნდნენ — ჩამოვიდნენ ერევნიდან, სადაც უძლიერეს დოსააფელთა საკავშირო პირად პირველობაში მონაწილეობდნენ.

ამ შეჯიბრების დამთავრების შემდეგ რესპუბლიკის ნაკრები ამხანაგურ ტრადიციულ შეხვედრას გამართავს ლატვიის გუნდთან, რომლის „წყალობითაც“ საქართველოს კოლექტივმა საკავშირო პირველობაში VI ადგილიდან მეშვიდეზე გადაინაცვლა.

სეზონის მთავარი ასპარეზობა იქნება საბჭოთა კავშირის 8 უძლიერესი გუნდის პირად-გუნდური პირველობა, რომელიც თბილისში 17-27 აპრილს გაიმართება.

წლეულს ჩვენი სპორტსმენები რთული ამოცანის წინაშე დგანან: საკავშირო შეჯიბრების სტარტზე დაიშვებიან ის მსროლელები, რომლებმაც 1969-1970 წლებში შეასრულეს ან გაიმეორეს სპორტის ოსტატის ნორმატივი. ყველა რესპუბლიკის გუნდები უკვე ამთავითვე ემზადებიან ხალხთა V სპარტაკიადისთვის.

საწყენია, რომ თბილისის ტურნირში არ გამოდის ოლიმპიური თამაშების პრიზიორი, ევროპის შარშანდელი ჩემპიონი, სპორტის დამსახურებული ოსტატი შ. ქველიაშვილი, — თქვა დასასრულ ა. ბაქრაძემ.

... შეჯიბრება დაიწყო მცირეკალიბრიანი შაშხანით 50 მეტრიდან წოლით 60 გასროლით. ქალებში I ადგილი დაიკავა სპორტის ოსტატმა ს. ბუჩუკურმა („დინამო“) — 583 ქულა. II ადგილი მიეკუთვნა სპორტის ოსტატ ნ. ერმიშიანს (ასკ) — 578, III — სპორტის ოსტატ ლ. ალიხანოვას („დინამო“) — 578. გუნდურ ტურნირში იმარჯვეს დინამოელებმა (ბუჩუკური, ალიხანოვა, ა. ისლამოვა), რომლებმაც 1730 ქულა მოაგროვეს.

სამაგიეროდ, ვაჟებში ყველას აჯობეს დოსააფელებმა — სამივე საპრიზო ადგილი მათ დაისაკუთრეს. უძლიერესი იყო სპორტის ოსტატი ა. შამეკო — 589 ქულა. სპორტის ოსტატმა გ. სკრინიკოვმა 588 ქულა მოაგროვა, სპორტის ოსტატმა ვ. აბაჯიანმა — 587. გუნდურ შეჯიბრებაში დოსააფის ღირსებას იცავდნენ შამეკო, სკრინიკოვი, აბაჯიანი და სპორტის ოსტატი ს. ფარულავა. მათი შედეგია 2350 ქულა.

მსხვილკალიბრიანი რევოლვერით მრგვალ სამიზნეებზე სროლის შემდეგ დაწინაურდა არმიელი სპორტის ოსტატი ვ. სალუქვაძე — 291 ქულა. II და III ადგილებს იყოფდნენ სპორტის ოსტატები ა. დილმელაშვილი (დოსააფი) და ე. კარტაშიანი, რომლებიც ლიდერთან 3-3 ქულას აგებდნენ.

სილუეტებზე სროლაში ყველას აჯობა თბილისელმა კარტაშიანმა (ასკ) — 298. სპორტის ოსტატ მ. ჟამურაშვილს (დოსააფი) 296 ქულა დაუგროვდა, ს. სტრეკალოვს (ასკ) — 295. საერთო I ადგილი კარტაშიანს დარჩა — 586. II ადგილის ბედის გასარკვევად დამატებითი სერია დაინიშნა. აქ სალუქვაძემ აჯობა ჟამურაშვილს. გუნდურ ტურნირში იმარჯვეს არმიელებმა (კარტაშიანი, სალუქვაძე, სტრეკალოვი და სპორტის ოსტატი ჯ. ფოტიევი) — 2317 ქულა.

ქალებიც ამ ვარჯიშში ეჯიბრებოდნენ ერთმანეთს, ოღონდ მცირეკალიბრიანი პისტოლეტით. მრგვალ სამიზნეებზე 30 გასროლის შემდეგ დაწინაურდა სპორტის ოსტატი თ. კუდრიავცევა (ასკ) — 284. თანაგუნდელი, სპორტის ოსტატი ტ. კობოსნიძე მასთან ორ ქულას აგებდა. მესამე იყო სპორტის ოსტატი ვ. ტიმოფეევა (დოსააფი) — 280.

სილუეტებზე სროლაშიც პირველი ორი ადგილი ისევე განაწილდა, როგორც მრგვალ სამიზნეზე შეჯიბრებაში: კუდრიავცევა — 289 ქულა, კობოსნიძე — 288. III ადგილზე 284 ქულით გავიდა ოსტატობის კანდიდატი ტ. კაზარიანი („დინამო“). საერთო I ადგილი დაიკავა კუდრიავცევამ — 573, II — კობოსნიძემ — 570, III — კაზარიანმა — 559 ქულა. გუნდურ ჩათვლაში ყველას აჯობეს დინამოელებმა (კაზარიანი, ოსტატობის კანდიდატები მ. გორდეზიანი, ვ. მერკინა) — 1648 ქულა.

„გაქცეულ ტახზე“ სროლაში ხუთწამიანი სიჩქარით ყველაზე უკეთესი შედეგი ჰქონდა თბილისელ არმიელს, სპორტის ოსტატ ვ. სამოილენკოს, რომელმაც 90 ქულა მოაგროვა. თანაგუნდელი, სპორტის ოსტატი ლ. სიდამონიძე მასთან 8 ქულას აგებდა. III ადგილზე იყო სპორტის ოსტატი თ. ლეკიშვილი (დოსააფი) — 81 ქულა.

2,5-წამიანი სიჩქარით ყველაზე უკეთ საერთაშორისო სპორტის ოსტატი გ. თავდიდიშვილი („დინამო“) ისროდა — 78. საბოლოოდ მას 152 ქულა აღმოაჩნდა და ამიტომ მერვედან საერთო II ადგილზე გადავიდა. სამოილენკომ I ადგილი დაისაკუთრა — 165, ლეკიშვილი 147 ქულით III საპრიზო ადგილზე გავიდა.

ამ ვარჯიშში თავის შესაძლებლობებზე ცუდად გამოვიდნენ სპორტის ოსტატები, რესპუბლიკის ნაკრების წევრები გ. ბექთაშევი და ს. ქუსიკაშვილი. გუნდურ შეჯიბრებაში პირველობა დინამოელებს დარჩათ (თავდიდიშვილი, სპორტის ოსტატები დ. ლუაშვილი, ბექთაშევი, ქუსიკაშვილი) — 564.

საინტერესო იყო მცირეკალიბრიანი შაშხანით სტანდარტზე (3×20) სროლა. წოლით ვარჯიშის შემდეგ ლიდერობდნენ შამეკო და სპორტის ოსტატი ა. მარუთიანი („დინამო“) — 197-197 ქულა. მათთან თითო ქულას აგებდნენ სკრინიკოვი, ს. იაკიმენკო და დ. ბიბილეიშვილი (ორივე — „დინამო“). ჩოქელა სროლაში ყველაზე უკეთესი შედეგი ჰქონდა სკრინიკოვს — 195 ქულა. ვ. ბალაშმა 191 ქულა მოაგროვა, ბიბილეიშვილმა — 189. დგომელა სროლაში ყველას აჯობა აბაჯიანმა — 186. ბიბილეიშვილი მას 1 ქულით ჩამორჩა. ოსტატობის კანდიდატმა ვ. კაკაურიძემ (დოსააფი) 182 ქულა მიიღო.

სტანდარტის ჯამში ოსტატობის კანდიდატმა ბიბილეიშვილმა 570 ქულა მოაგროვა და პირველად შეასრულა ოსტატის ნორმატივი. II ადგილზეა აბაჯიანი — 563, III — მარუთიანი — 561. გუნდურ ტურნირში პირველობა დაისაკუთრეს დოსააფის წარმომადგენლებმა (აბაჯიანი, შამეკო, ფარულავა, სპორტის ოსტატი ე. მალხასიანი) — 2221.

ორ დღეს ასპარეზობის შემდეგ ლიდერობა ხელთ იგდო „დინამოს“ გუნდმა.

**თ. ლეკიშვილი,**
**სპორტის ოსტატი.**

# გუნდური დამთავრდა, იწყება პირადი...

### მოზარდთა საკავშირო პირველობა ჩოგბურთში

როგორც უკვე ვწერდით, თბილისელი ჩოგბურთელები ბოლოსწინა და ბოლო ადგილებისთვის მებრძოლ წყვილს შემორჩნენ. თბილისელები ლენინგრადის ნაკრებს შეხვდნენ. მეტოქე სუსტი იყო და მასპინძლებმაც იოლად გაიმარჯვეს — 7:1. ამრიგად, მათ ბოლოსწინა, VII ადგილი დაიკავეს.

გთავაზობთ თბილისელთა და ლენინგრადელთა გუნდური მატჩის შედეგებს:

გოგონები. შაპოვალოვა — იაშენკინა 6:2, 6:3, მირიმანოვა — მედვედევა 6:4, 3:6, 1:6, კეკელია — ოდინცოვა 7:5, 6:1, ელერდაშვილი — ბოგდანოვა 8:6, 7:5; ჭაბუკები. ერანოსიანი — ანტონიანი 6:2, 6:2, ოსიპოვი — კოჟუხარი 7:5, 6:4, აბრამიძე — რაზგულიაევი 0:6, 8:6, 6:4, ახვლედიანი — შრაიმანი 6:0, 6:1.

ფინალური ბრძოლა მოსკოველებსა სოჭის ნაკრებს იოლად მოუგეს (7:1) და დამსახურებულად დაიკავეს I ადგილი.

III საპრიზო ადგილი ხვდა კიევის ნაკრებს, რომელმაც დაამარცხა ტალინის გუნდი (6:3).

ალმაათელები V ადგილზე გავიდნენ. მათ ეს „მოიმკეს“ მინსკელებთან გამარჯვებით — 7:3.

დღეს იწყება პირადი პირველობა.

ეროვნული ბიბლიოთეკა





# „საუკუნის მატჩი" ბელგრადში

დღეს ბელგრადის სინდიკატების (პროფკავშირების) სახლში, საზეიმოდ გაიხსნება სსრ კავშირისა და „მსოფლიოს რჩეულ მოჭადრაკეთა" გუნდების მატჩი. „დარწმუნებული ვარ, — წერს მსოფლიოს ნაკრების კაპიტანი, დოქტორი მ. ეივე, — უახლოეს ათ წელიწადში ვერც ერთი ქვეყნის მოჭადრაკეები ვერ შეძლებენ საბჭოთა კოლეგების წარმატების გამეორებას. მაშასადამე, სრული უფლება გვაქვს, რომ მომავალ შეჯიბრებას „საუკუნის მატჩი" ვუწოდოთ".

„საუკუნის მატჩის" გამართვის იდეა რამდენიმე წელია არსებობს და ახლა ეს სურვილი იუგოსლავიის ჭადრაკის ფედერაციამ აქცია რეალობად. მატჩის მოწყობა იუგოსლაველებმა იტვირთეს და თავს არ ზოგავენ, რათა ღირსეულად გაუმასპინძლდნენ ჩვენი დროის გამოჩენილ მოჭადრაკეებს. ეს შემთხვევითი როდია. იუგოსლავიას დიდი საჭადრაკო ტრადიციები აქვს. ამ ქვეყნის ფედერაცია 8 რესპუბლიკურ, სამხარეო და საქალაქო ფედერაციას, 600 საჭადრაკო კლუბს და 25 ათას თანრიგოსან მოჭადრაკეს აერთიანებს. ამჟამად იუგოსლავიაში 11 დიდოსტატი (ს. გლიგორიჩი, მ. მატულოვიჩი, ბ. ივკოვი, ბ. პარმა, მ. უდოვჩიჩი, ა. მატანოვიჩი, დ. ჩირიჩი, მ. დამიანოვიჩი, დ. იანოშევიჩი, პ. ტრიფუნოვიჩი, ვ. პირცი), 24 საერთაშორისო ოსტატი და 43 ეროვნული ოსტატია. ეს ქვეყანა ომის შემდგომ გამართულ ყველა საჭადრაკო ოლიმპიადაში მონაწილეობდა. 1950 წელს იუგოსლაველთა გუნდმა მსოფლიო ჩემპიონობაც მოიპოვა (ამ ოლიმპიადაში სსრ კავშირი არ მონაწილეობდა), ხოლო სხვა დროს მუდამ საპრიზო ადგილზე იყო. ევროპის სამივე პირველობაში იუგოსლაველები II ადგილზე გავიდნენ (პირველობა საბჭოთა მოჭადრაკეებს ხვდათ).

„მსოფლიოს რჩეულ მოჭადრაკეთა" გუნდის შედგენისას ეივემ მოიშველია ამერიკელი პროფესორის ა. ელოს კოეფიციენტთა ინდივიდუალური სისტემა, რომელიც თითოეული მოჭადრაკის შედეგებს ითვალისწინებს. ამ სისტემის მიხედვით პირველ დაფაზე რ. ფიშერს უნდა ეთამაშა, მაგრამ, როცა 1969 წლის ტურნირების შედეგები გაითვალისწინეს, პირველ დაფაზე ბ. ლარსენს უწევდა გამოსვლა. ეივემ გუნდის ლიდერად მაინც ფიშერი დატოვა. ამან, რა თქმა უნდა, დანიელი დიდოსტატის უკმაყოფილება გამოიწვია და მან ეივეს პროტესტი განუცხადა. ორგანიზატორებს იმდენად სურდათ მატჩში ფიშერს ეთამაშა, რომ საორგანიზაციო კომიტეტის თავმჯდომარე ს. მაისტეროვიჩი და ტურნირის დირექტორი დ. პეროვიჩი საგანგებოდ შეხვდნენ ლარსენს — სთხოვეს პირველი დაფა ამერიკელი დიდოსტატისთვის დაეთმო. ლარსენი დათანხმდა, მაგრამ ლუგანოს საერთაშორისო ტურნირში წარმატების შემდეგ კვლავ პროტესტი განაცხადა. მოლაპარაკებაც ისევ განახლდა და ლარსენი ისევ შეირიგეს.

დაიგვიანა ფიშერის ბარათმაც (ვადა 25 თებერვალს იწურებოდა). ორგანიზატორები ღელავდნენ, მაგრამ, თურმე, ამაოდ.

„22 თებერვალს მე ოფიციალურად ვაცნობე ბელგრადს, რომ მიწვევას ვღებულობ, — უთხრა ფიშერმა ჟურნალისტებს. — ეს მატჩი ერთ-ერთ ყველაზე თვალსაჩინო მოვლენად მიმაჩნია ბრძნული და უძველესი თამაშის მრავალსაუკუნოვან ისტორიაში. მე არ მქონდა უფლება უარი მეთქვა ამ შეჯიბრებაში გამოსვლაზე, თუმცა, როგორც ყოველ მონაწილეს, ზოგიერთი ეჭვი მეც მაწუხებდა. ხმები, თითქოს თამაში არ მსურდა, უსაფუძვლოა.

კმაყოფილი ვარ, რომ მატჩი იუგოსლავიაში გაიმართება. ამ ქვეყანაში უყვართ ჭადრაკი და პატივს სცემენ მას, ამასთან, ტურნირის მოწყობაც იციან. მეეჭვება, რომ მოთხოვნები, რომელთაც დიდი და მნიშვნელოვანი ტურნირების ორგანიზატორებს წარუდგენ ხოლმე, ყველასთვის სასარგებლო არ იყოს. ეს მოთხოვნები (იხ. ა. წ. 12 მარტის „ლელო". — რედ.) უბრალო ახირება როდია. მათი დაცვა აუცილებელი პირობაა ნორმალური შემოქმედებითი მუშაობისთვის.

კმაყოფილი ვარ, რომ პატივი დამდეს ვუთავკაცო გუნდს. სასიამოვნოა შეხვედრა მსოფლიო ჩემპიონ ბორის სპასკისთან, თუნდაც მოკლე, ოთხპარტიიან მატჩში".

გაჭირვეულდა იუგოსლაველი მატულოვიჩიც: ულმანზე „დაბლა" არ დავჯდებიო. მაგრამ ეს საკითხიც მოუგვარდა.

აი, ვინ ვის შეხვდება:

| სსრ კავშირის გუნდი | | მსოფლიოს ნაკრები |
|---|---|---|
| ბ. სპასკი | 1 | რ. ფიშერი (აშშ) |
| ტ. პეტროსიანი | 2 | ბ. ლარსენი (დანია) |
| ვ. კორჩნოი | 3 | ლ. პორტიში (უნგრეთი) |
| ლ. პოლუგაევსკი | 4 | ვ. ჰორტი (ჩეხოსლოვაკია) |
| ე. გელერი | 5 | ს. გლიგორიჩი (იუგოსლავია) |
| ვ. სმისლოვი | 6 | ს. რეშევსკი (აშშ) |
| მ. ტაიმანოვი | 7 | ვ. ულმანი (გდრ) |
| მ. ბოტვინიკი | 8 | მ. მატულოვიჩი (იუგოსლ.) |
| მ. ტალი | 9 | მ. ნაიდორფი (არგენტინა) |
| პ. კერესი | 10 | ბ. ივკოვი (იუგოსლავია) |

გუნდებში შედიან, აგრეთვე, სათადარიგო მოთამაშეები: სსრ კავშირის გუნდში — ლ. შტეინი, დ. ბრონშტეინი, „რჩეულთა ნაკრებში" — ფ. ოლაფსონი (ისლანდია), კ. დარგა (გფრ).

მეტოქეები ოთხ-ოთხჯერ შეხვდებიან ერთმანეთს, ესე იგი, გაიმართება 10 მიკრომატჩი.

„საუკუნის მატჩისადმი" ინტერესი უაღრესად დიდია. ყველაზე მეტად ეს, რა თქმა უნდა, თვით იუგოსლავიაში იგრძნობა. ბელგრადის გაზეთმა „პოლიტიკამ" მატჩისადმი მიძღვნილი სპეციალური დანართი გამოსცა. ამ დანართში ნაამბობია შეჯიბრების მონაწილეებზე, გამოქვეყნებულია მათი სურათები. დიდოსტატი მატანოვიჩი წერს, რომ მატჩი უდიდეს წვლილს შეიტანს ხალხთა ურთიერთთანამშრომლობის საქმეში.

შეჯიბრების დღეებში გამოვა სპეციალური ბიულეტენი, მოეწყობა ტელეგადაცემები, გადაიღებენ დოკუმენტურ კინოფილმს (ცხადია, ისე, ფიშერის მოთხოვნები რომ არ დაირღვეს).

ბელგრადი ბევრ სტუმარს მოელის. მატჩს დაესწრებიან იუგოსლავიის დედაქალაქში მიმდინარე ქალთა საერთაშორისო ტურნირის მონაწილეები, მათ შორის, ნ. გაფრინდაშვილიც.

„საუკუნის მატჩს" დიდ ადგილს უთმობს საბჭოთა პრესაც. გაზეთ „ტრუდის" კორესპონდენტთან საუბარში ეივემ თქვა: „ახლა, როცა შეჯიბრება იწყება, ჩვენს წინაშე დგას მორიგი ამოცანა — მივაღწიოთ იმას, რომ მატჩი მთელი დედამიწის კულტურული ცხოვრების მნიშვნელოვან მოვლენად იქცეს". „ეს მატჩი დიდი და დაუვიწყარი მოვლენა იქნება არა მარტო საჭადრაკო სამყაროსთვის", — ამბობს ჰორტი.

რასაკვირველია, ყველას აინტერესებს როგორც მატჩის საერთო ანგარიში, ისე, და ალბათ უფრო მეტადაც, თითოეული მიკრომატჩის შედეგი.

ამ საკითხთან დაკავშირებით, გაზეთ „კომსომოლსკაია პრავდაში" ოსტატი ვ. ხენკინი, რომელმაც საბჭოთა მოჭადრაკეები ინახულა მოსკოვის ახლოს ერთ-ერთ დასასვენებელ სახლში, წერს:

„გუნდების შეხვედრის პერსპექტივებზე დიდოსტატები ხალისით ამბობენ მოსაზრებებს, მაგრამ პირადი შედეგების შესახებ დასმულ შეკითხვებზე თითქმის არ იძლევიან პასუხს".

მონაწილენი ფიქრობენ, რომ ყველაზე მძიმე ამოცანა აწევთ ჩვენს ლიდერებს — სპასკისა და პეტროსიანს.

— რასაკვირველია, სპასკის ფიშერის არ ეშინია, — ამბობს ი. ბონდარევსკი, — მას ამერიკელი მოჭადრაკე უკვე ორჯერ ჰყავს დამარცხებული, მაგრამ... არა როგორც მსოფლიო ჩემპიონს. ჩემპიონისთვის თამაში უფრო ძნელია. სახელი გავალდებულებს...

— პეტროსიანისა და ლარსენის დუელი უკიდურესობამდე მძაფრი და დაძაბული იქნება, — შენიშნავს სპასკი. — დანიელი დიდოსტატი თითქმის მუდამ თავგამოდებით თამაშობს. ამ ბოლო დროს მან ბევრი დიდი გამარჯვებაც მოიპოვა. თუმცა არც ტიგრან პეტროსიანი იქნება გულხელდაკრეფილი..."

რა თქმა უნდა, ყოველი მონაწილე შეეცდება მაქსიმალურად გამოავლინოს ერუდიცია, ცოდნა, მომზადება, რათა გუნდიც ასახელოს და საკუთარი თავიც.

„საუკუნის მატჩის" განრიგი ასეთია: ტურები შედგება 29 და 31 მარტს, 2 და 4 აპრილს, გადადებული პარტიების გათამაშება — 30 მარტს, 1, 3 და 5 აპრილს. 6 აპრილს მატჩი საზეიმოდ დაიხურება.

27 მარტს სსრ კავშირის გუნდი იუგოსლავიის დედაქალაქში ჩაფრინდა. გამგზავრების წინ საბჭოთა მოჭადრაკეები მიიღო იუგოსლავიის ელჩმა სსრ კავშირში.

თ. გიორგაძე.

• • •

სურათებზე: ბ. სპასკი (წინა პლანზე) და ე. გელერი ბილიარდის თამაშის დროს — ისინი „საუკუნის მატჩის" მზადებისას ასეც ერთობოდნენ; ტ. პეტროსიანი მუდამ ფოტოაპარატით „შეიარაღებული" ხეირნობდა ჰაერზე.

ფოტო ე. ეგოროვისა (საკდესი).

# 13 ტურის შემდეგ

მიიწურა მოჭადრაკე ქალთა ბელგრადის საერთაშორისო, 8 მარტისადმი მიძღვნილი ტურნირი. XIII ტურში ნ. გაფრინდაშვილი ესპანელ ი. ფერერს შეხვდა. ესპანურ პარტიაში ფერერმა პაიკის შეწირვით პერსპექტიული პოზიცია მიიღო, მაგრამ იჩქარა მატერიალური თანაფარდობის აღდგენა. მსოფლიო ჩემპიონმა ძლიერი იერიშით მეათე გამარჯვება ჩაიწერა სატურნირო ცხრილში (XII ტურში ნონამ იუგოსლაველ თ. ვუიანოვიჩს მოუგო).

ა. კუშნირმა „ახიამოვნა" ჰოლანდიელ ლ. ტიმერს, როცა მის წინააღმდეგ ჰოლანდიური დაცვა აირჩია. ბრძოლა ცვალებადი უპირატესობით მიმდინარეობდა. პარტია არ დამთავრებულა, დაახლოებით თანაბარ მდგომარეობაში გადაიდო.

ყაიმზე შეთანხმდნენ ი. მალიპეტროვა (ჩეხოსლოვაკია) და კ. იოვანოვიჩი (იუგოსლავია). სხვა პარტიები გადაიდო.

13 ტურის შემდეგ ნ. გაფრინდაშვილს 11 ქულა და ე. ტროიანსკასთან (ბულგარეთი) უკეთეს პოზიციაში გადადებული პარტია აქვს, კ. იოვანოვიჩს — 8 ქულა და 2 გადადებული პარტია (კუშნირთან, ტროიანსკასთან), ი. მალიპეტროვას — 8 ქულა და კუშნირთან გადადებული პარტია, ხოლო ა. კუშნირს — 7,5 ქულა და 5 გადადებული პარტია (კ. იოვანოვიჩთან, მალიპეტროვასთან, ვუიანოვიჩთან, კონარკოვსკა-სოკოლოვასთან და ტიმერთან).

დიდ სპორტულ ინტერესს იწვევს კუშნირ — გაფრინდაშვილის შეხვედრა, რომელიც XIV ტურში შედგება.

# ლალი კოროშინაძე — თბილისის ჩემპიონი

თბილისის ქალთა საჭადრაკო პირველობის ფინიში მძაფრი ბრძოლით აღინიშნა. დასკვნითი ტურების შედეგები ასეთია:

VII ტური. ლ. კოროშინაძე — თ. კაჭარავა 1:0, მ. სანაძე — ნ. ხუბულური 1:0, მ. დათაშვილი — ხ. ივანოვა 0:1, ნ. ბალაშვილი — მ. ვაჩეიშვილი 1:0, მ. თევზაძე — ა. შულმანი 0:1, ლ. კოტრიკაძე — ლ. ზოლოტუხინა 1:0, ხ. ცერცვაძე — ი. გედენიძე 0,5:0,5, ა. მდივანი — ლ. ღაღანიძე 0:1, ლ. სვანიძე — თ. გელიაშვილი 1:0, ნ. კიკვაძე — ზ. შენგელია 0:1, მ. გავრილიუკი — ნ. უზნაძე 1:0.

VIII ტური. ივანოვა — კოროშინაძე 0,5:0,5, შენგელია — სანაძე 0:1, კაჭარავა — გედენიძე 0,5:0,5, დათაშვილი — ბალაშვილი 1:0, ხუბულური — შულმანი 1:0, ცერცვაძე — ღაღანიძე 0,5:0,5, უზნაძე — კიკვაძე 0,5:0,5, კოტრიკაძე—თევზაძე 0,5:0,5, ზოლოტუხინა — სვანიძე 0:1, ვაჩეიშვილი — გავრილიუკი 1:0, გელიაშვილი — მდივანი 0,5:0,5.

შვეიცარიული სისტემის წესით, ფინიშზე ლიდერები შეხვდნენ ერთმანეთს. კოროშინაძეს უფრო მტკიცე ხასიათი აღმოაჩნდა და თბილისის ჩემპიონის სახელიც მან დაისაკუთრა.

ამრიგად, პირველობა დამთავრდა. გთავაზობთ შეჯიბრების საბოლოო შედეგებს (თანაბარქულიანი მოჭადრაკეების ადგილები კოეფიციენტთა ცხრილით გაირკვა):

I. კოროშინაძე — 6,5 ქულა, II. სანაძე — 6, III. კაჭარავა — 5,5, IV. ივანოვა — 5,5, V. დათაშვილი — 5, VI. ხუბულური — 5, VII. შულმანი — 4,5, VIII. გედენიძე — 4,5, IX. ცერცვაძე — 4, X. ბალაშვილი — 4, XI. თევზაძე — 4, XII. ღაღანიძე — 4, XIII. ვაჩეიშვილი — 4, XIV. კოტრიკაძე — 4, XV. შენგელია — 4, XVI. კიკვაძე — 3,5, XVII. გავრილიუკი — 3, XVIII. სვანიძე — 3, XIX-XX. უზნაძე, გელიაშვილი — 2,5-2,5, XXI. ზოლოტუხინა — 2, XXII. მდივანი — 1.

6 პირველ ადგილზე გასულებმა საქართველოს ჩემპიონატის საგზურები მოიპოვეს.

— ტურნირი უაღრესად საინტერესო იყო, — გვითხრა მთავარმა არბიტრმა, ოსტატმა ა. ბლაგიძემ. — შვეიცარიულმა სისტემამ მძაფრი ბრძოლა განაპირობა. რა თქმა უნდა, პირველობა წრიული სისტემით რომ ჩატარებულიყო, მონაწილეთა რიცხვი ნაკლები იქნებოდა, ახლა კი ბევრ ნიჭიერ გოგონას გავეცანით. გაიმარჯვეს უძლიერესებმა: გამოცდილებამ მაინც თავისი გაიტანა.

თ. ნინოშვილი.

[illegible]

## ლაგოდეხი

ნინიგორის კულტურის სახლში ჩატარდა რაიონის პირველობა თავისუფალ ჭიდაობაში. გუნდური გამარჯვება მოიპოვეს ნინიგორელებმა. პირად ჩათვლაში ჩემპიონები გახდნენ: ბიბილოვი, მუმლაძე (ორივე — ნინიგორი), სამსონოვი (კალინოვკა), ბლიაძე (ცოდნისკარი), გიორგობიანი (ნინიგორი), ყაჩმაზოვი (ფონა), ბეროშვილი (კალინოვკა), კუბლაშვილი (ნინიგორი), ბრეგვაძე (ლელიანი).

ი. თაბაგარი.

# დ. ბერუაშვილი სარბიელს დაუბრუნდა

სამბისტთა საკავშირო შეჯიბრებას სტუდენტთა საგაზაფხულო უნივერსიადის პროგრამით მინსკი მასპინძლობდა. სარბიელზე გამოვიდნენ მოკავშირე რესპუბლიკების ნაკრები გუნდები. საქართველოს ღირსებას უმთავრესად გორელი სტუდენტები იცავდნენ (მწვრთნელი — საქართველოს დამსახურებული მწვრთნელი გ. პაპიტაშვილი). მათ მაღალ სპორტულ დონეზე ჩაატარეს ტურნირი, 103 ქულა მოაგროვეს და I გუნდური ადგილიც დაისაკუთრეს. აღსანიშნავია, რომ ჩვენმა ფალავნებმა ჩამოიტოვეს ისეთი ძლიერი კოლექტივები, როგორიც არიან რსფსრ-ს (II ადგილი) და მოსკოვის (III ადგილი) ნაკრები გუნდები.

ჩვენებმა წარმატება მოიპოვეს პირად ჩათვლაშიც. ჩემპიონის ტიტულები დაისაკუთრეს: რ. მალალთაძემ (70 კგ), რ. ქაიხოსროშვილმა (80 კგ), შ. ჩოჩიშვილმა (89 კგ) და ნ. ექვთიმიშვილმა (100 კგ). განსაკუთრებით გაგვახარა მძიმე წონის ათლეტის დ. ბერუაშვილის წარმატებამ. იგი კარგა ხნის შესვენების შემდეგ დაუბრუნდა სარბიელს და I ადგილზეც გავიდა.

პირად ჩათვლაში II საპრიზო ადგილები დაიკავეს ვ. ბორჩაშვილმა, გ. თანდილოვმა, თ. თვაურმა და ჯ. ხორბალაძემ.

შეიქმნა სსრ კავშირის სტუდენტ სამბისტთა ნაკრები, რომელშიც ჩვენი რესპუბლიკიდან ზემოჩამოთვლილ სპორტსმენთა გარდა შევიდნენ ზ. ბეთლემიძე, ა. გოგიაშვილი, ჰ. პეტუაშვილი, ჯ. ნინოშვილი (ყველა — გორი).

ი. თევდორაშვილი.
(ჩვენი კორ.).

გორი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ევროპის ქვეყნების თასების მფლობელთა თასზე

# გადაულახავი რუბიკონი

თბილისი. სპორტის სასახლე. 26 მარტი.

„დინამო“ (თბილისი) — „ფიდესი“ (ნეაპოლი) 83:88 (38:45).

„დინამო“: მოსეშვილი (18), სხიერელი (17), ქორქია (14), საკანდელიძე (13), ჩიხლაძე (11), მალალაშვილი (4), ლეჟავა (2), უგრეხელიძე (2), ბოლქვაძე (2), ალთაბაევი, ნარიმანიძე, ფიცხელაური.

„ფიდესი“: აიკენი (23), უილიამსი (20), მარეტი (18), დ'აქუილა (13), ბუფალინი (10), ფუჩილე (4), აბატე, ა. ერიკა, გავანი.

მსაჯები: ო. ბელოშევიჩი (იუგოსლავია), ლ. ერიკსონი (შვეცია).

„დინამო“ დამარცხდა და ამ მარცხს თან გაჰყვა მრავალი წლის ნატვრა, ბევრი თამამი და სათუთი ილუზია. „დინამო“, როგორც ჩანს, კარგა ხნით „გამოვიდა თამაშიდან“: ევროპული რანგის რომელიმე ტურნირში მონაწილეობის უფლება არც ისე ადვილი მოსაპოვებელია. სამწუხაროდ, უნდა ვაღიაროთ, რომ „დინამოს“ ჯერჯერობით არ შესწევს ამის ძალ-ღონე.

ნეაპოლის მატჩის შემდეგ მთელი ყურადღება 18 ქულაზე იქნა გადატანილი. ასეთი სხვაობა, თქვენ წარმოიდგინეთ, ზოგჯერ თანაბარი ძალის გუნდებშიც კი დასაშვებია, მაგრამ „ფიდესისა“ და „დინამოს“ შემთხვევა უფრო განსაკუთრებული იყო. იტალიელების კოზირი სწორედ ის გახლდათ, რომ მათ იცოდნენ, რა ანგარიშით არ უნდა წაეგოთ. ეს იყო, ჩვენი აზრით, ყველაზე სუსტი ადგილი „დინამოს“ პოზიციაში, რომელსაც არაფერს მისცემდა თუნდაც 16-ქულიანი სხვაობა. 18 ან, უკიდურეს შემთხვევაში, 17 ქულა — ამ ფსიქოლოგიური რუბიკონის გადალახვა „დინამოსთვის“ წარმატების ტოლფასი იყო, თუ, რა თქმა უნდა, მას ობიექტურად ჰქონდა გამარჯვების რაიმე შანსი.

არ ვიცით, საერთოდ რა ძალის გუნდია „ფიდესი“. თბილისის მატჩით მან ერთობ სასიამოვნო შთაბეჭდილება დატოვა. მაგრამ ჩვენ კარგად ვიცით „დინამოს“ შესაძლებლობანი და ამიტომ თამამად შეგვიძლია ვთქვათ, რომ მან გუშინწინ თავისი ყველაზე სუსტი შეხვედრა ჩაატარა. ვიმეორებ, „დინამო“ წლევანდელ საკავშირო ჩემპიონატშიც არ ბრწყინავს მაინცდამაინც, მაგრამ იგი არც ისეთი უხუსურია, როგორიც „ფიდესთან“ შეხვედრაში გამოჩნდა.

ჩხუბის შემდეგ, რა თქმა უნდა, მუშტებს არ იქნევენ, მით უმეტეს, როცა ეს ჩხუბი უიმედოდაა წაგებული. და მაინც, საინტერესოა, იყო თუ არა რაიმე ობიექტური საფუძველი იმისა, რომ „დინამოს“ წარმატებით გადაეჭრა გუშინწინდელი პრობლემა? ალბათ დაგვეთანხმებით, რომ გამარჯვების მთავარი პირობა გახლდათ ფსიქოლოგიური მზადყოფნა ურთულესი ამოცანის გადასაწყვეტად. 18 ქულა განყენებულად საკმაოდ შთამბეჭდავი სხვაობაა, მაგრამ აბა, სცადეთ და გაანაწილეთ იგი 40 სათამაშო წუთზე. უფრო სწორად, გამოკვეთ 8 ხუთწუთიანი მონაკვეთი, რაც კალათბურთში საკმარისად დიდი დროა. ყოველ ხუთ წუთში მეტოქის კალათში ერთი ბურთით მეტი რომ ჩაეგდოთ, მსაჯის საფინალო სასტვენისთვის დინამოელები მთელი 16 ქულით წინ იქნებოდნენ, თექვსმეტიდან თვრამეტ ქულამდე კი მხოლოდ ერთი სროლაა. ამავე დროს, ნუ დაგავიწყდებათ, რომ 5 წუთისთვის ორქულიანი ლიმიტი მინიმალურია.

არა, 18 ქულა ჯერ კიდევ არ ნიშნავდა კატასტროფას, გუნდი სათანადოდ რომ ყოფილიყო განწყობილი საბრძოლველად. სინამდვილეში კი დაშვებული იყო უამრავი შეცდომა, რამაც ყოველგვარი საფუძველი გამოაცალა გამარჯვების სურვილს.

მატჩის მერე თბილისელმა მაყურებლებმა ოვაციები გაუმართეს გამარჯვებულებს. „ფიდესმა“ მართლაც კარგად ითამაშა და დაიმსახურა ეს ოვაციები. მაგრამ მისი ძალა გაცილებით უფრო რელიეფურად გამოჩნდა „დინამოს“ უსუსურობის ფონზე. ამიტომ იტალიელთა დაუმარცხებლობაზე კატეგორიულად ლაპარაკი არ იქნება სწორი, მით უმეტეს, რომ ამ ტურნირში მან ერთხელ უკვე წააგო ბრძოლა ისრაელის საკმაოდ სუსტ გუნდთან.

წარმოიდგინეთ, რამდენი უმარტივესი ტექნიკური შეცდომა დაუშვეს კალათბურთელებმა, რომლებიც სხვადასხვა დროს სსრ კავშირის ნაკრებში თამაშობდნენ და ევროპისა თუ მსოფლიო ჩემპიონატებში მონაწილეობდნენ. რამდენი გარბენი, რამდენი უხეირო პასი, რამდენი უსუსტო სროლა უაღრესად ხელსაყრელი პოზიციიდან, როგორი ფუსფუსი შეტევის დროს და როგორი უმწეობა დაცვაში!... განა ასეთები იყვნენ დინამოელები თუნდაც რიგის არმიელებთან სკანდალური მარცხის დროს, რომ არაფერი ვთქვათ „სტროიტელთან“ ან „კალევთან“ მატჩებზე. სიჩქარეში შესაძლოა ბევრი რამ ვერ შეამჩნიოთ, მაგრამ განა დიდი რამ იყო საჭირო იმის დასანახად, რომ იტალიელები ჯარიმის მიღების შიშით ფარქვეშ ხელს არ უშლიდნენ მეტოქეებს? განა შეცდომა არ იყო ამ პრიქილეგიის გამოუყენებლობა? ერთი სიტყვით, ჯერ „დინამომ“ წააგო თავისი ნებით მატჩი, და მხოლოდ ამის შემდეგ „გააფორმა“ გამარჯვება „ფიდესმა“.

„დინამოს“ მძიმე პერიოდი დაუდგა — ამ პერიოდს კრიზისი ჰქვია. კრიზისისგან დაზღვეული არც ერთი კოლექტივი არ არის, ვინაიდან ეს სავსებით ბუნებრივი პროცესია, რომელსაც ყველა მეტ-ნაკლებად უხდის ხარკს (გაიხსენეთ თუნდაც რიგის არმიელთა კოლექტივი — ერთ დროს ევროპის უძლიერესი კლუბი). ახლა მთავარია რაც შეიძლება უმტკივნეულოდ და სწრაფად გადავუხადოთ ვალი ამ ბუნებრივ პროცესს. „დინამოს“ მდიდარი ტრადიციები აქვს და იგი უთუოდ დაიბრუნებს თავის კარგ სახელს.

ნ. ბუბუშვილი.

* * *

სურათზე: ასე გამოხატეს გამარჯვების სიხარული იტალიელებმა.

ფოტო ა. რუხაძისა.



ევროპის ქვეყნების ჩემპიონთა თასზე

## ორივეჯერ დიდი ანგარიშით

მოსკოვი, 27 მარტი. გუშინ აქ გაიმართა განმეორებითი ნახევარფინალური მატჩი ევროპის ქვეყნების ჩემპიონთა თასზე კალათბურთში. ადგილობრივმა არმიელებმა მიიღეს ჩეხოსლოვაკიის ჩემპიონი — პრაღის „სლავია“. შევახსენებთ, რომ ამ გუნდების პირველი მატჩი საბჭოთა კალათბურთელებმა დიდი ანგარიშით მოიგეს — 107:79.

უპირატესობა განმეორებით შეხვედრაშიც ცსკა-ს მხარეს იყო. მათ გაიმარჯვეს ანგარიშით 113:75 (58:42) და ფინალში მონაწილეობის უფლებაც მიიღეს.

საბჭოთა ჩემპიონს ყველაზე მეტი ქულა (21) შესძინა ქარმუხამედოვმა.

●

## „რეალმა“ გზა დათმო

რომი, 26 მარტი. იტალიის ჩემპიონებმა — „ინისის“ (ვარესე) კალათბურთელებმა განმეორებითი მატჩი მოუგეს ევროპის ქვეყნების ჩემპიონთა თასის მრავალგზის მფლობელს — მადრიდის „რეალს“ (108:73) და გათამაშების ფინალში გავიდნენ. აღსანიშნავია, რომ იტალიელებმა პირველ მატჩშიც დაამარცხეს მეტოქე მასივე მოედანზე (90:86). ფინალურ შეხვედრაში, რომელიც 9 აპრილს გაიმართება იუგოსლავიის ქალაქ სარაევოში, იტალიელებს მოსკოვის არმიელებთან მოუწევთ თამაში.

6 ათასმა „ტიფოზიმ“ გამაყრუებელი კაკოფონიით აღნიშნა თავისი საყვარელი გუნდის გამარჯვება, რომელშიც პირველი ვიოლინოს როლს ასრულებდნენ უცხოელი ვარსკვლავები — ამერიკელი ჯონსი (36 ქულა) და მექსიკელი რაგა (18). იტალიელებმა უვნებელყვეს მეტოქის მთავარი ბომბარდირები — ამერიკელი ლაიკი და ემიანო, რომლებმაც ამჯერად საკმაოდ მოკრძალებული მაჩვენებლებით დატოვეს მოედანი (პირველმა თავის გუნდს 17 ქულა შესძინა, მეორემ — 14).

უცხოეთის ფეხბურთის ამბები

## გარინჩას — პირობითი პატიმრობა

გარინჩას საქმეები ამ ბოლო დროს მეტისმეტად აირია. იგი ხან რომელიმე ბრაზილიურ კლუბში ცდილობდა თამაშს, ხანაც — ევროპაში გადასვლას. წარსულში განთქმული ფეხბურთელი მწვრთნელობის დაწყებასაც აპირებდა, მაგრამ...

გარინჩას ავტოკატასტროფა შეემთხვა, რისთვისაც რიო-დე-ჟანეიროს ერთ-ერთი სასამართლოს წინაშე წარსდგა. როგორც გერმანული ჟურნალ „ფუსბალვოხე“ რიოდეჟანეიროელი კორესპონდენტი იუწყება, გარინჩას ორწლიანი პირობითი პატიმრობა მიესაჯა. ეს, ყოველ შემთხვევაში, იმას ხიშნავს, რომ გარინჩა უცხოეთში ვეღარ წავა.

## ბესტის ექვსი ბურთი

ჯ. ბესტს (ჩრდილოეთ ირლანდიის ნაკრები და ინგლისის „მანჩესტერ იუნაიტედი“), რომელსაც ახლა უკვე ევროპის პირველობაზე მოუხდება საბჭოთა ფეხბურთელებთან შეხვედრა, ბოლო დრომდე არ ჰქონდა შედეგიანი თავდამსხმელის სახელი. მისი გადაცემებიდან ბევრი გოლი გადიოდა, თვით ბესტი კი არასოდეს ყოფილა სნაიპერთა შორის.

ინგლისის 1969-70 წლების ჩემპიონატში მდგომარეობა შეიცვალა. ბესტი ჩინებული სნაიპერი გახდა და „მანჩესტერ იუნაიტედიც“ სწორედ მისი წყალობით აღწევს წარმატებას.

საინტერესოა აღინიშნოს, რომ, სხვა ქვეყნებისგან განსხვავებით, ინგლისელებს ეთვლებათ თასის გათამაშებაში გატანილი ბურთებიც და აი, ბესტმა აქაც გამოიჩინა თავი: „მანჩესტერ იუნაიტედი“ შეხვდა „ნორთჰემპტონ-ტაუნს“ და დაამარცხა იგი ანგარიშით 8:2. 6 ბურთი ბესტმა გაიტანა.

რედაქტორი მ. კაკაბაძე

## ახალი ამბები

● გომელი, 26 მარტი. მინსკის რადიოტექნიკური ინსტიტუტის კალათბურთელ ვაჟთა გუნდი გაისად სსრ კავშირის პირველობაზე „ა“ კლასის უმაღლეს ლიგაში იასპარეზებს. ეს უფლება მან II ჯგუფის 6 გუნდის აქ გამართულ ტურნირში გამარჯვებით მოიპოვა.

● მოსკოვი, 26 მარტი. მოსკოვის „დინამოს“ ფრენბურთელ ქალთა გუნდი მერვედ გახდა სსრ კავშირის ჩემპიონი აქ მიმდინარე პირველობის დამთავრებამდე... 4 ტურით ადრე. დასკვნითი შეჯიბრების მესამე დღეს დინამოელებმა ანგარიშით 3:0 დაამარცხეს მინსკის „სპარტაკი“, მაგრამ I ადგილის ბედი ჯერ კიდევ არ იყო გადაწყვეტილი ყველაფერი დამოკიდებული გახლდათ მატჩზე: ცსკა — „ბურევესტნიკი“ (ოდესა). სამხრეთელებმა ტემპიანად, ძალიან შეთანხმებულად, დიდი მონდომებით ითამაშეს და სძლიეს სსრ კავშირის შარშანდელ ჩემპიონს — 3:0. ამის შემდეგ დედაქალაქის დინამოელები, რომელთაც 16 ქულა დაუგროვდათ 17-დან, მიუწვდომელი აღმოჩნდნენ დანარჩენთათვის (ამ დღეს მოსკოვის „ლოკომოტივმა“ მოუგო კიევის „ბურევესტნიკს“ — 3:1, ლენინგრადის „ბურევესტნიკმა“ — ბაქოს „ნეფტიანიკს“ — 3:2). 11-11 ქულა აქვთ ლენინგრადისა და ოდესის ბურევესტნიკელებსა და ცსკა-ს. „დინამო“ წარმატებით ასპარეზობს ევროპის ქვეყნების ჩემპიონთა თასის გათამაშებაშიც. მოსკოველებმა უკვე დაამარცხეს იტალიელი და პოლონელი ფრენბურთელები და დიდი შანსი აქვთ მეექვსედ დაეუფლონ გაზეთ „სოვეტსკი სპორტის“ პრიზს — „დიდ კრისტალს“. დინამოელთა წარმატებაში, ცხადია, დიდი წვლილი მიუძღვის მათს მწვრთნელს, სსრ კავშირის დამსახურებულ მწვრთნელს გ. ახვლედიანს.

● რიო-დე-ჟანეირო, 26 მარტი. ბრაზილიის ფეხბურთელთა ნაკრების ახალმა მწვრთნელმა ზაგალომ პირველი და მეორე შემადგენლობების საწვრთნელი მატჩი გამართა, რამაც უდიდესი ინტერესი გამოიწვია. პირველი ნაკრების წევრებმა იოლად გასტეხეს მეტოქეთა წინააღმდეგობა და მათს კარში 4 „მშრალი“ ბურთი გაიტანეს. გოლების ავტორები არიან რობერტო (2), პელე და ცეზარი.

● ბირშკორნი (გფრ), 26 მარტი. ნორვეგიისა და გფრ-ის ძალოსანთა შეჯიბრებაში ორი ევროპული რეკორდის ავტორები გახდნენ მძიმე წონის ათლეტები. გ. ვე (გფრ) — 512,5 კგ და ე. რეკუსტადი (ნორვეგია) — 510 კგ.

● ლენინგრადი, 26 მარტი. აქ დაიწყო გაზეთ „კომსომოლსკაია პრავდას“ პრიზის ტრადიციული გათამაშება ცურვაში. არმიელმა გ. ტულიკოვმა 100 მეტრზე ბატერფლაით სსრ კავშირის ახალი რეკორდი დაამყარა 25-მეტრიანი აუზებისთვის — 57,7, ხოლო ა. სამსონოვმა („ტრუდი“) წინასწარ შეჯიბრებაში 200 მ თავისუფალი სტილით 1 წუთსა და 59,2 წამში გაცურა და ჭაბუკთა საკავშირო რეკორდი დაამყარა. 100 მეტრზე ბრასით ყველას აჯობეს ი. მორჩუკოვმა („ტრუდი“) — 1.05,9 და ა. გრებენიკოვამ („ბურევესტნიკი“) — 1.16,6. 100 მეტრზე ბატერფლაით ქალთა ტურნირში იმარჯვა ბუდაპეშტელმა მოსწავლემ ჟ. ტოტმა — 1.09,1.

ახალი ამბები

### თბილისის სპორტულ ბაზებზე

ფეხბურთი. „სინათლის“ სტადიონი. 29 მარტი. საქართველოს პირველობა: „სინათლე“ (თბილისი) — „ისანი“ (თბილისი). დასაწყისი 14 ს. აეროპორტის სტადიონი. ახკ (თბილისი) — „ქართლი“ (გორის რაიონი). დასაწყისი 12 ს.

ИНДЕКС 66448 საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის სტამბა, ლენინის ქ. № 14. 8 უე 03118